ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 05. 02. 2021წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №13-ს

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” 22-ე მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტში შიდა მობილობისთვის:

ა) გამოცხადდეს ვაკანსიები დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) განისაზღვროს პროცესის ადმინისტრირებისთვის ვადები დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დადგინდეს შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს, ენების ცენტრს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ა.ა) სამართალი - 5 ადგილი;
      ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - 5 ადგილი;
      ა.გ) ისტორია - 5 ადგილი;
      ა.დ) ქართული ფილოლოგია - 5 ადგილი;

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ბ.ა) სამართალი - 5 ადგილი;
      ბ.ბ) საჯარო მმართველობა - 5 ადგილი;
      ბ.გ) ქართული ფილოლოგია - 5 ადგილი;
      ბ.დ) საქართველოს ისტორია - 5 ადგილი;

2. ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 10 ადგილი;
      ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - 10 ადგილი;
      ა.გ) ეკონომიკა - 10 ადგილი;
      ა.დ) ფსიქოლოგია - 10 ადგილი;
      ა.ე) კომპიუტერული მეცნიერება - 10 ადგილი;

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
      ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 10 ადგილი;
      ბ.ბ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - 10 ადგილი;

შენიშვნა: სწავლის წლიური საფასური ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამართლის და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა შეადგენს2250 ლარს, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) სამართალი - 2450 ლარს;

ბ) საჯარო მმართველობა - 2350 ლარს.

დანართი N2

შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) – 2021 წლის 8 – 17 თებერვალი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2021 წლის 9 – 18 თებერვალი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2021 წლის 10 – 19 თებერვალი;

დ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2021 წლის 19 თებერვალი

ე) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2021 წლის 22 თებერვალი.

დანართი N3

შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (შემოთავაზებული ფორმით););

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული);

გ) დამდეგი - 2020 – 2021სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის დამადასტურებელი (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) დოკუმენტი.